<u>დანართი 2</u>

# ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ელექტრონული პორტალით სარგებლობის ინსტრუქცია სტუდენტთათვის

შინაარსი:

- სალექციო მასალები
- ელექტრონული დავალებები
- ელექტრონული დავალების გაგზავნა
- ვიდეო შეხვედრები
- საკონტაქტო პირები

*შემდგენელი: ელდარ მსხალაძე*

*ბსსა ელექტრონული სწავლების*
*პროგრამის ავტორი*

## ელექტრონული სწავლება

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთათვის ელექტრონული სწავლების ორგანიზების მიზნით პირად პორტალზე დამატებულია მენიუ „E-learning”.




სალექციო მასალების ნახვა შესაძლებელია მენიუში „ E-learning → სალექციო მასალები“.

მენიუს არჩევის შემდეგ გამოვა ფანჯარა, სადაც მოცემულია სტუდენტის მიერ დარეგისტრირებული საგნების სია მიმდინარე სემესტრისათვის.

**სალექციო მასალები**

ფინანსური აღრიცხვა ( ჯგუფი N921 )
სატრანსპორტო ლოჯისტიკა ( ჯგუფი N921 )
საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციები და მულტიმოდალური გადაზიდვები ( ჯგუფი N921 )
მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის II ( ჯგუფი N811 )
მაკროეკონომიკა -I ( ჯგუფი N921 )
ტრანსპორტის მენეჯმენტი ( ჯგუფი N921 )

საგნის დასახელების არჩევის შემდეგ გამოვა ამ საგანში გამოგზავნილი სალექციო მასალების (თემების) ცხრილი.

საგანი: მაკროეკონომიკა -I

| N | თემა |
|---|---|
| 1 | **ერთობლივი გამოშვება**<br>*მშპ, წარმოება და შემოსავალი, ნომინალური და რეალური მშპ. მშპ: მოცულობა და ზრდის ტემპი, უმუშევრობის დონე, ინფლაციის დონე, მშპ დეფლატორი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი.* |
| 2 | **საქონლის ბაზარი. მშპ.**<br>*საქონლის ბაზარი.მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა, საქონელზე მოთხოვნა,მოხმარება,ინვესტიციები,სახელმწიფო დანახარჯები.* |
| 3 | **ფინანსური ბაზრები**<br>*ფულზე მოთხოვნა და ფულის მიწოდება, საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, ფულის მიწოდება და წონასწორული საპროცენტო განაკვეთი, ოპერაციები ღია ბაზარზე, ფული, ობლიგაციები და სხვა აქტივები* |
| 4 | **ფინანსური ბაზრები**<br>*რას აკეთებენ ბაზრები. ცენტრალური ბანკის ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა,რეზერვებზე მოთხოვნა,საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა,წონასწორობის განხილვის ორი ალტერნატიული ხერხი,ფულის მულტიპლიკატორი* |

ვირჩევთ თემას, გაიხსნება სასურველი თემის გვერდი




გვერდზე მოცემულია ინფორმაცია საგნის, ლექტორის, თემის დასახელების, აღწერის, ლიტერატურის, დამატებითი მასალებისა და თვითშეფასების კითხვების შესახებ.

აქვე მოცემულია პრაქტიკული დავალებების ცხრილი:

**დავალება** - დავალების ტექსტის ან/და მიმაგრებული ფაილის სახით;

**გაგზავნის ვადა** - დავალების გაგზავნის თარიღი (Deadline);

**შეფასება** - შემდეგი მონაცემებით:

- ✓ დავალების გაგზავნა - გასაგზავნი ლინკი, თუ შესასრულებელია დავალება
- ✓ ქულა - თუ დავალება შეფასებულია;
- ✓ + (პლიუს ნიშანი) - თუ დაიმსახურეთ შეფასება - „შეფასების გარეშე“
- ✓ შეუსრულებელი დავალება - თუ გავიდა დავალების შესრულების ვადა;

**კომენტარი** - ლექტორის მიერ დაწერილი კომენტარი თქვენ მიერ შესრულებულ დავალებაზე.

# ელექტრონული დავალებები

დავალებების ნახვა შესაძლებელია მენიუში „ E-learning → ელექტრონული დავალებები“.




სტანდარტულად გაიხსნება ყველა დავალება, შესაბამისი მენიუს საშუალებით შეიძლება გავფილტროთ დავალებები:

| | |
|---|---|
| **ყველა დავალება** | მოცემულია ყველა დავალება |
| **შესასრულებელი დავალებები** | დავალებები, რომლებიც უნდა შევასრულოთ |
| **შესამოწმებელი დავალებები** | დავალებები, რომლებიც შევასრულეთ და ელოდება პედაგოგის შეფასებას |
| **შემოწმებული დავალებები** | შესრულებული დავალებები, რომლებიც პედაგოგმა უკვე შეაფასა |
| **შეუსრულებელი დავალებები** | შეუსრულებელი დავალებები, რომლის შესრულების ვადაც გასულია |

# ელექტრონული დავალებების გაგზავნა

შესრულებული დავალების გაგზავნა შესაძლებელია:

- მენიუ „E-learning → სალექციო მასალები“, ვირჩევთ სასურველ საგანს, შემდგომ სასურველ თემას და დავალების გასწვრივ ვააქტიურებთ ლინკს: **დავალებების გაგზავნა**

ან

- მენიუ „E-learning → ელექტრონული დავალებები → შესასრულებელი დავალებები“, ვირჩევთ სასურველი დავალების გასწვრივ ლინკს: **დავალების გაგზავნა**

გაიხსნება დავალების შესრულების გვერდი




შესაბამის ველში მოვახდენთ დავალების პასუხის აკრეფას (ჩასმას). საჭიროების შემთხვევაში მივამაგრებთ დამატებით ფაილებს (მაქსიმუმ 5 ფაილი) და ვააქტიურებთ ღილაკს - „პასუხის შენახვა“.

ფაილის ატვირთვა სასურველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხი მოითხოვს ფორმულების, ნახაზების, ცხრილის ან სურათების ჩასმას.

# ვიდეო შეხვედრები

პროფესორ-მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი ვიდეო შეხვედრების ცხრილი შესაძლებელია ვნახოთ მენიუ „ E-learning → ვიდეო შეხვედრები“-ს გააქტიურებით.

**ვიდეო შეხვედრები**

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია მომდევნო 5 დღის განმავლობაში დაგეგმილი ვიდეო შეხვედრები

| N | დღე | თარიღი | საათი | ლექტორი / საგანი | ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამშაბათი | 07 აპრილი | 14:00 | **დევაძე ბაგრატ**<br>*ტრანსპორტის მენეჯმენტი* | |
| 2 | სამშაბათი | 07 აპრილი | 15:00 | **ჩხარტიშვილი ეკატერინე**<br>*მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის II* | |
| 3 | ხუთშაბათი | 09 აპრილი | 15:00 | **კაცაძე ირაკლი**<br>*ფინანსური აღრიცხვა* | |
| 4 | ხუთშაბათი | 09 აპრილი | 16:00 | **ჭანიძე ქეთევან**<br>*მაკროეკონომიკა -I* | |
| 5 | პარასკევი | 10 აპრილი | 13:00 | **ჩხარტიშვილი ეკატერინე**<br>*მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის II* | |

მენიუში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი ვიდეო შეხვედრის თარიღის, საათის და დამატებითი ინფორმაციის შესახებ. დამატებით ინფორმაციაში განთავსდება ვიდეო შეხვედრის ჩატარების შესახებ ინფორმაცია.

# საკონტაქტო პირები

რეგისტრირებული საგნების ჯგუფებში დამატებისათვის მიმართეთ:

ნავიგაციის ფაკულტეტი - სალომე ხალვაში - 558250240

საინჟინრო ფაკულტეტი - მზია გოგუაძე - 577226139

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი - ინგა ცენტერაძე - 577220464

აკადემიური რეგისტრაცია - თათია დოლიძე - 577292828